წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. ოთხშაბათი, 27 მაისი 1915 წ. № 3.

საქართველო

ხელისმოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ [illegible] კანტორაში ყოველ დღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76,

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე,) და ეღირება 5 მანეთი.

„საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ წლის დამლევამდე ღირს 5 მანეთი. შეიძლება ფასის გადახდა ამნაირად: პირველ ოქტომბრამდე 3 მანეთი და შემდეგ ორი მანეთი. ჟურნალ „კლდის“ ხელის მომწერთ, რომელთაც გადახდილი აქვთ მთელი წლისა, (5 მან.) „საქართველო“ გაეგზავნებათ **მხოლოდ** პირველ მკათათვემდე. „კლდის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სამს მანეთამდის აქვს შემოტანილი, „საქართველოს“ მხოლოდ პირველი ნომერი გაეგზავნებათ.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

ირ. ევდოშვილის

სრული კრებული ხელის მოწერით ღირს ორი მანეთი. **მთელი შემოსავალი** მგოსაის გადაეცემა.

„საქართველოს“ რედაქციაში (მოსკოვის ქუჩა № 4) მიიღება ხელის მოწერა.

—უ—

ახალი კლუბი

—:—

საზაფხულო ბაღი გაიხსნება 1 თიბათვეს. ბაღი გაფართოვდა და გამშვენიერდა. დღე კლუბის გადასვლისა ბაღში აღნიშნულ იქნება განსაკუთრებულ ზეიმით

3—3

კბილის ექიმი ქალი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21,

დოქტორი მედიცინისა

მიხე ანტიმოზის ძე

კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა. **ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღ. 5—6 საათამდე, კვირა დღის გარდა. [illegible]ოლდას ქუჩა, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

ქ. გორში

ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიული სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფისა აფთიაქთან

თბილისი, 27 მაისი

ჩვენს ცხოვრებას ორი შავბნელი ხაზი ახასიათებს: უქმი ლაყბობა და ბრწყინვალე დუმილი! თითქოს განვებ აღმოსავლეთურ ფატალიზმის დარდიმანდულ მანტიას გავუხვევივართ დაუჯერებლობის ბურუსში და იმ დროს, როდესაც სხვა მოქმედობს, როდესაც ცხოვრება მოითხოვს მკაცრ ანგარიშს—ჩვენ ვლაყბობთ, უქმადა ვლაყბობთ: „რა დროს საქმეა, ეხლა მხოლოდ ოცნებაა“, ვამბობთ ჩვეულებრივ. ან და კიდევ: „ამას რად დავჯერდებით, ჩვენ გვსურს რეფორმები უაღრესი, უმწვერვალესი... საიდეალო... მაღალი“... საზოგადოდ ასეთი დევიზი დაგვისახნია და ვისახავთ ყოველთვის იმ ძლიერ მომენტებში, როდესაც შეგვიძლიან მართლა რამე გავაკეთოთ, რა თქმა უნდა, ჩვენი თავისთავის. აი, ამის გამო იყო, რომ მიუხედავად უზომო მსხვერპლისა, ჩვენ, ქართველობა, სხვა ერთათვის მებრძოლი და მომრიგებელი, დავრჩით უსარგებლოდ, და არა თუ უსარგებლოდ, ზარალით:

განვლო დრომ, მაგრამ ჩანს, მწარე მოცდილებას ჩვენთვის არაფერი უს[illegible]ლებია. აი, ახალმა დრომ დაჰბერა, რომ საშინელებისამ, როდესაც დი[illegible] და პატარა სახელმწიფო [illegible] აღიძრა თვის არსებობის დასაცველად. რუსეთის სახელმწიფოში და საზოგადოებაში გრიგალსავით შემოიჭრა პოლონეთის აღორძინებისა, სარწმუნოების გათანასწორებისა თუ თვითმართველობის საკითხი. დამახასიათებელ ამბათ უნდა ჩაითვალოს თვით ალკოჰოლის მოსპობის საკითხი, სახელმწიფოს ბიუჯეტის სისტემის შეცვლა და მრავალი შინაგანი თუ საგარეო საკითხი, რომელთა ჩამოთვლა [illegible] მხოლოდ, რომ აღძრულ საკითხთა შორის ყოველისფერი გახლდათ, ყოველისფერი, მსოფლიო ზღვები, პატარ პატარა კუთხეები, ყვითელი ლითონი, ჩრდილთა განათება და ნათელთა გაჩრდილება, მაგრამ საქართველოში, ჩვენ სამშობლოში

როდესაც მტკივნელი გული ამოიღებს ხმას, როდესაც თვის არსებობის კანონიერ მოთხოვნილებას წარმოადგენს, მაშინ ყველანი შემკრთალი სახით აჰრებენ: ჩუთ, მსოფლიო კატაკლიზმა არ დამთავრებულა და თქვენ გსურთ თქვენს თავზე ფიქრი და ოცნება? და გვითითებენ მომავალზე, როცა ომის ქარიშხალი გაივლის.

ვინ იცის, რად არ აქვსთ წარმოდგენილი მსოფლიო ნანგრევების მომავალი შარავანდედი, რომლის სხივებში მომხიბვლელ ასოებით ჰქარგავენ საერთაშორისო უფლებათა გამარჯვებას, საერთაშორისო მილიტარიზმის მოსპობას, რაღაც ბედნიერების მიერ გამოფრენილ ლურჯი ჩიტის დაჭერას. და ამ მხიბლავ სურათისა ისე არავისა სჯერა, როგორც მეოცნებე ქართველს. ჩვენ ფიქრადაც არ გაგვივლია, რომ შესაძლებელია და არა თუ შესაძლებელი, აუცილებელიც კი, რომ მსოფლიო ნანგრევებზე აღმოცენილ მშვიდობას ანუ ახლად შობილ ხავს ხმალ-კაპარჭის არტახებში მოუხდება აღზრდა საშინელ რევანშისთვის. ვინ იცის, მოქალაქეობისა და საერთაშორისო უფლების გამარჯვების ნაცვლად გაიმარჯვოს მხოლოდ წითელმა დიქტატურამ! ვისა აქვს უფლება მარტო ერთი პარადოქსებით გაუმასპინძლდეს ერს, რომ საერთაშორისო კატაკლიზმა სოციალურ ცხოვრების ნაზ ყვავილებად გაიშლებაო! ერთად ერთი რამ არის ცხადი, რომ რითაც არ უნდა დათავდეს ომი, მომავალი ცხოვრება კაცობრიობისა, თანამედროვე სახელმწიფოთა არსებული საზღვრები ის აღარ იქნება რაც რომ იყო. აი, ამ მომავალ და აუცილებელ ცვალებადობის შესაგებებლად ემზადება ყოველი ერი. ყოველგან ვხედავთ **გაერთიანებას**, საერთოდ ზრუნვას, ერთად ფიქრს, ერთს საქმიანობას, რომ ტრაგიკულ მდგომარეობიდან იშვას მისი მომავალი ბედნიერება, რათა დედამიწის პირისაგან არ წარიხოცოს.

რომ მომავლისთვის არც ოცნება და არც საქმიანობა არის აღკრძალული, რაზეც ქართველს მარტო ერთი ფიქრიც კი საშინელ ჟრუანტელსა ჰგვრის, დავინახავთ ჩვენს მეზობელთა ცხოვრებიდან. მათთვის არ არის არა აღკრძალული. გვახსოვს და არ დაგვავიწყდება მათი კამათი რუსულ პრესაში, თუნდა ერთ დროს „ბირჟ. ვედ.“ ფურცლებზე ახლანდელ კათალიკოზის სიტყვები: „ჩვენ ბედნიერები ვიქნებით, თუ სომხეთს პეტრე დიდის ოცნება აუცხადდება და რუსეთს სომხეთის საშუალებით შეეძლება ალექსანდრეტის ნავთსადგურში გასვლაო“. გვახსოვს ისიც, თუ რა ახდილი კამათი გაიმართა მილიუკოვ-არევ-ჰორიზონის შუა სომხეთის დამოუკიდებლობის შესახებ... სომხეთის დამოუკიდებლობა 200 წლის წინად პეტრე დიდის მიერ ნალოლიავები ოცნებანი! მშვენიერია, წარმტაცი! სომხთა ერი დღესაც ამ ოცნების რეალობასა ჰლამობს, დღესაც საოცნებოზე არა თუ მარტო ოცნებობს, მოქმედებს კიდეც. მას პირველს, კავკასიის ერთა შორის, ეძლევა უფლება მთელი სომხეთის წარმომადგენლის კრების გამართვისა, ვთქვათ, შინაურ საქმეზე, რატომ? თავიანთივე გარჯილობით, თავიანთსავე მეცადინეობით. მარტო მმართველთა და მაღალ წრეთა სიმპატია ანტიპატია როდი კმარა; არც ვისიმე ფაბორიზმია საჭირო თუ თვით ერი არ გამოიჩენს სიცოცხლის უნარს. და სამწუხაროც ის არის, რომ ამ სიცოცხლის ძიებას, [illegible] საქმიანობას ვერა ვჭვრეტთ საქართველოში. იმ დროს, როდესაც სხვათათვის 200 წლის წინად ნაოცნებარზე ახალი ოცნება შეიძლება, ჩვენს რეალურს სიცოცხლის თამასუქის განაღდებაზე, ვიმეორებ, ფიქრიც-კი გვეშინიან. უხვია საქართველოს შვილთა მიერ საერთაშორისო სამსხვერპლოზე დანთხეული სისხლი, უხვია, მისი ერთგულება, თამამი თავგამოდება საერთაშორისო ბედნიერებისათვის, მაგრამ რამდენადაც კეთილშობილურია ყველა ეს, რამდენადაც მოსაწონი და ტაშ დასაკვრელია, იმდენად სამწუხარო მოვლენაა, როდესაც მის თავგამოდებას, მის სისხლის ღვრას მის იურიდიულ უფლებათა ჩრდილიც კი არ უძევს სარჩულადა! თოფ-ზარბაზანთა გრიალი არყევს ქვეყნიერებას, მსოფლიო ინგრევა, ყველა თვით გამორკვევას ეძლევა, საკუთარ ძალთა მობილიზაციას ახდენს, იღჭურვება თვის არსებობის დამამტკიცებელ იურიდიული უფლებებით, მხოლოდ ერთია უდარდელი და ეს ერთად ერთი გახლავთ ქართველი ერი, რომელიც თვით მაშინაც-კი, როდესაც შემთხვევა ეძლევა ხელმწიფე იმპერატორის სურვილისამებრ დაასახელოს მის წინვე ერის გასაჭირი, ერის უქვეშევრდომილესი თხოვნა თვის წარმომადგენელთა პირით მხოლოდ ხმალ-კაპარჭზე ათითებს, თითქოს ჩვენს ცხოვრებას არც რამ სჭიროდეს და არც რამ აწუხებდეს.

არა, იშვიათად ნახავთ ერს, რომელსაც ასეთი დაუჯერებელი უდარდელობა ახასიათებდეს, რომ უქმად ლაყბობდეს უდრო უდროოდ და ასეთ გადამწყვეტ მომენტებში-კი ბრწყინვალე დუმილის შარავანდედით იმოსებოდეს!

დ. კ—ძე.

წყალდიდობა

(წერილი ახალქალაქიდგან)

ყოველ მხრიდგან მოისმის საჩივარი წყალდიდობის გამო, ყოველი ჩვენი სოფელი, რომელიც კი მთის კალთებზეა შეფენილი (და რომელი ჩვენი სოფელია, რომ მთის კალთებზედ არ იყვეს შეფენილი?) უთუოდ ისაზღვრება რომელიმე მხრით ხეობით და ეს ხეობა, რომლის ძირშიაც ძრიელ პატარა მდინარეები მიმდინარეობენ ჩვეულებრივ, გაზაფხულზედ აზვირთდება, გადმოვა ნაპირებიდგან და აყენებს ერთ ალიაქოთს არე-მარეს: მოაქვს, ჰგლეჯს და ატიალებს აუარებელ მინდვრებს, ყანებს, ბაღ-ვენახებს და ბევრჯელ სახლ-კარს და პირუტყვსაც უნიავებს უპატრონოდ დატოვებულ სოფელს.

წრევანდელმა წყალდიდობამ ხომ გადააჭარბა ყოველგვარ მოლოდინს და დიდის შეუწყვეტელის წვიმების და გაზაფხულზედ თოვლის დადების გამო მთებზედ, ბოლო აღარ უჩანს. მდინარე თეძამი, რომელიც ჩამოუდის სოფელ ახალქალაქს, ძრიელ წყნარი და მცირე წყლიანია ცხრა-ათი თვის განმავლობაში, გაზაფხულზედ კი ძალზედ ახმაურდება და გიჟივით მოურბის თავის ატეხილ ჭალებს და თან მოაქვს აუარებელი ქვა-ქვიშა, ტყის ნაყარ-ნუყარი ფიჩხი, შეშა, ბევრჯელ ტივის ხეებიც. დღეში ათასჯერ იცვლის კალაპოტს, მიექანება ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ, ხან ათას ნაკადათ დაიყოფა, და ხან შეერთებული ერთ მძლავრ ტალღათ დეეტაკება რომელსამე ბედკრულ ბაღ-ვენახს, აბიბინებულ ყანას, ან წვითა და დაგვით აშენებულ სახლ-კარს და ძირს უთხრის, ყირამალა აყენებს, პატრონს კი ღვთის ამარად სტოვებს და ატირებს.

აგერ თვე ნახევარია, რაც თეძმის ოინებს ვუყურებ და გული სევდით მევსება, სიბრაზე მახრჩობს, რო ეს ონავარი მთის წყალი ასე თავისუფლად დანავარდობს, ქვეყანას აოხრებს და პატრონი, ამის ხელის შემკვრელი კი არავინ არის! უნებლიეთ მებადება შედარება და სიმწარის ღიმილი მითრთის ტუჩებზედ. დღეში 14 [illegible] სურად, დღეში ათიათასობით საუკეთესო მამულისშვილნი ესალმებიან წუთისოფელს, ვითომდა იმისთვის, რომ ხალხს მოუპოვონ ბედნიერება...

თეძმისთვის და ათასი ამისთანა გამძვინვარებულ ხეობის მდინარეების შესაკავებლად კი სულ საკმარისი იქნებოდა ერთი დღის დანახარჯი მილიონები, მარტო ერთი დღისა და ერთ დღეს დახოცილთა შვილთა ხელები დასახმარებლად და ნამდვილი, თვალსაჩინო ბედნიერებაც იქნებოდა მოპოვებული! მაგრამ...

სხვათა შორის თეძამმა ახალქალაქში სულ აიოხრა აქაური აფთიაქარი ნაცვლიშვილი. მშვენივრად დამუშავებული ვენახი, ძვირად დამჯდარი და ზედ ძალღონე შელეული კედლები, წამის სისწრაფით წალეკა და საუკეთესო მეოჯახე, ბედნიერი კაცი, დღეს სხვას კარეთად გახადა მოწანწალე.

წაიღო და დაანგრია ათასი სხვის ქვითკირის ხვირებით გამაგრებული ბაღ-ვენახი, ნახნავ-ნათესი, გადალახა გზები, დაანგრია ბოგირები და ამოავსო თვალუწვდენელი მიდამო ქვიშა-ღორღით და ნარიყალით. ნეტა როდემდის იქნება ქვეყანა ასე უპატრონოდ? ნეტა როდის მოეღება ბოლო ნგრევა-აოხრებას ვითომდა ბედნიერების მისახწევათ?

ეკ. გაბაშვილისა.

ჩვენი ცხოვრება

ამხანაგობა „ქართლის საზოგადო კრება.

კვირას, 24 მაისს ქ. გორში მოხდა „ქართლის“ ამხანაგობის კრება. თუმცა სამწუხაროდ წევრები ნაკლებად დაესწრნენ, მაგრამ ამან ხელი არ შეუშალა მხურვალე მსჯელობა-კამათს, რომლის შედეგად მიღებული იყო რამდენიმე საგულისხმიერო გარდაწყვეტილება.

გამგეობის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ წინანდელ (2 თებ.) კრებაზედ ამხანაგობის თავმჯდომარისაგან წერილობითი განცხადება, რომ მოგება არის 661 მ. სინამდვილეს არ შეეფერება, არამედ ზარალია 275 მანეთამდის. საკითხის განხილვის შემდეგ, კრებამ გადასწყვიტა ყოველი ანგარიში გასწორებულად ჩასთვალოს წინანდელ გამგეობასთან და გამოეცხადოს საყვედური თავმჯდომარეს საქმის შეუფერებელ და დაუდევარ წარმოებისათვის.

აღმოჩნდა აგრედვე, რომ ორი თვის განმავლობაში, 1 თებერვ.—1 აპრილამდე, მიუხედავად ვაჭრობის მეტად ძნელი პირობებისა, დატოვებულ ვალების გადახდისა და სხ. და სხ.— ამხანაგობას დარჩა ნაღდი მოგება 758 მან. და თუ ამას მიუმატებთ ზედმეტად ჩათვლილ ამორტიზაციას და სხვა წვრიმალებს (ინვენტარში ჩათვლილი იყო მრავალი წვრიმალნი, რომელიც ახალმა გამგეობამ ხარჯებში გადაიტანა)—მოგება ას თუმანს აღემატება. ამ მოგებიდან, გარდა განსაზღვრული პროცენტისა (10 პროცენტი), გადასწყდა 100 მანეთი დაურიგდეს ნოქრებს. გადასწყდა, რომ ეხლავე შეუდგეს ამხანაგობა გორში საწყობის გამართვას, საცა გამგეობის წევრნი ჩაიბარებენ ხილს, დაჰყოფენ ხარისხებად და ნაწილ-ნაწილ მიაწოდებენ თბილისის მაღაზიას უკვე გადარჩეულ ხილს. რადგან გამოირკა, რომ თბილისის ვაჭრობას დიდძალი ხილი სჭირდება (25000—40000 ფუთამდე) და წვრილობით ამხანაგობას შეიძლება ამაზედ მეტი არ შეუგროვდეს—გადასწყდა რომ საწყობიდან ჯერჯერობით ხილი გაიყიდება სხვა ბაზრისათვისაც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თბილისის ვაჭრობისათვის საჭირო მასალის რაოდენობას აღემატება.

უმთავრესი ყურადღება კრებისა მიქცეული იყო ახალ წევრების შეძენაზე, ნამეტნავად გლეხებისა, რომელნიც ყვე[illegible]გან. მათ მოსაზიდავად, კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც ყველა არა წევრის გადარჩეული ხილიც მიიღება საწყობში მაზანდის მიხედვით, მაგრამ წმინდა მოგებიდან მათ დაუბრუნდებათ მხოლოდ ნაწილი იმისა, რაც ერგებათ წევრებს,— ყველას, შემოტანილ ხილის რაოდენობის მიხედვით.

კრებაზედ აღნიშნული იყო ფრიად საინტერესო და დიდი მომავლიანი ორი მოვლენა: ჯერ ერთი რომ „საქაშეთის მეხილეთა ამხანაგობა“ თითქმის მთლად იზიარებს „ქართლის“ მიზნებს და უერთდება მას და მეორეც, რომ გორის მაზრის რამდენიმე საკრედიტო დაწესებულებას განზრახული აქვს დახმარება გაუწიოს ისეთ შეუძლო გლეხებს, რომელთაც არ შესწევთ ღონე მოუცადონ ხილის გასაღებას და წინდაწინვე სჭირდებათ ხილის ფასის ნაწილი მაინც.

ეს ორი უკანასკნელი მოვლენა იმდენად საყურადღებოა, რომ თავიდანვე მკვიდრ ნიადაგზედ აყენებს ამხანაგობა „ქართლი“-ს საქმეებს და მის დიად მიზანსაც უფრო მაგარ საძირკველს ჩაუყრის.

„ქართლი“, რომელმაც თანდათან უნდა გააფართოვოს თავისი მოქმედება და ბოლოს სოფლის ყოველგვარ ნაწარმოების გამსაღებელ კოოპერატივად გადაიქცეს—დიდ საარსებო ძალას იპოვის სწორედ ადგილობრივ პატარ-პატარა სამეურნეო და საკრედიტო ამხანაგობებში, რომელნიც საბოლოოდ უნდა შეერთდნენ ერთ მჭიდრო კავშირად.

24 მაისის კრებამ ნათელჰყო, რომ ამ მიზნის მიღწევა ძნელია, მრავალს დაპრკოლებას შეეხეთქება, მაგრამ თუ ამხანაგები შეგნებულად მოეკიდენიან საქმეს და ერთგულად იმოქმედებენ საერთო მომავლისათვის, ვერავითარი ძალა ვერ დასთრგუნავს ამ დიდი მიზნის დიდს მომავალს.

კოოპერატიული მოძრაობა ჩვენში თანდა-თან იზრდება და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქართლის მეხილენიც არ ჩამორჩებიან ამ საერთო შეგნებულს და ძალოვანს ტალღას. ძალა ერთობაშიაო, ნათქვამია და ძველადგანვე ჩვენში არსებული **მოდგამობა**, რომელიც ნამდვილ კოოპერაციის ჩანასახს წარმოადგენს—

იმედია გაგვიადვილებს ამ ერთობას—საერთო ეროვნულ მიზნების მიღწევაში.

წევრი.

მგზავრის შენიშვნები

მე მომიხდა ქ. სიღნაღში გამგზავრება. რადგან იმ დღისთვის მატარებელი არ გადიოდა, იძულებული გავხდი მოლოკნების დილიჟნით წავსულიყავი.

ერთი ჩვენი თანამგზავრი სიღნაღის მცხოვრები ინტელიგენტი აღმოჩნდა.

როგორც კი მოსალოდნელი იყო ლაპარაკი ჩამოვარდა ეტლით მოგზაურობის უხერხულობაზე და იმ გაჭირვებაზე, რასაც სიღნაღელები გინიცდიან რკინის გზის ლიანდაგის დაშორებით: „ეჰ,—გულნაკლულად დაასკვნა ჩვენმა თანამგზავრმა,—აქაც ისევ და ისევ ბრალი სიღნაღის ქალაქის თვითმართველობას ედება“. მოსაუბრემ გარკვევით დაახასიათა, თუ მორიგი ცალმხრივი პოლიტიკით გატაცებული პირები როგორ აწარმოებენ ქალაქის გამგეობის საქმეებს. მისი სიტყვით მათ მხოლოდ თავიანთი გარკვეული მიზნის მისაღწევად სურთ მოქმედება და და ამის გარეშე არა სწამთ რაო. ყველანი, როგორც ერთი კაცი, ისე მოქმედებენ და თბილისიდან ნაკარხახევის თანახმად იქცევიანო.

ქ. სიღნაღის არჩევნების ისტორია გეცოდინებათ თუ როგორ ყველასაგან პატივცემული და ცნობილი პირები გააშავეს, როგორც მაგალითად პატივცემული ექიმი ჯანდიერი ვექილი დაფქვიაშვილი და სხ. მათ მაგიერ მოჰყვა უბრალო უვიცი პირების გარჩევა. მაგალ. „სტეპკო ტილიკვნეტიაშვილი, ეშმაკ პეტრუზაშვილი“ და სხვა ამისთანები.

ამიტომაც არ არის გასაკვირველი, რომ ასეთმა პირებმა არ გაიმეტეს 2000 მანეთის გაღება კახეთის რკინის გზისათვის, რომ სადგური სიღნაღთან დაეახლოვებინათ. ამნაირად, ასეთმა გამგეობამ არა თუ ვერ ააყვავა ქალაქი, მათ ჩაჰკლეს სიღნაღის მაჯის ცემა და მისი მომავალი ისევ უკან წასვლით დამთავრდებაო. აი ამითი აიხსნება ის გარემოება, რომ დღეს იძულებული ხდებიან თავიანთ ნაწარმოები თუ სავაჭრო საქონელი სოფელ-სოფელ ატარონ გასასყიდათ, რადგანაც სიღნაღში სავაჭროდ აღარავინ მოდის.

ამ ბოლო დროს სოფლელებმაც შეიგნეს თავიანთი ინტერესები და მაგათგან აღარა ვაჭრობენ და წარმოიდგინეთ თვით გაჭირვების დროსაც ფულსაც-კი აღარ სესხულობენ. იმათ თავიანთვის დაიარსეს ყველა საჭიროების დასაკმაყოფილებლად მაღაზიები, დაიარსეს საკრედიტო დაწესებულებანი და თვითვე ჰპატრონებეგ თავიანთ თავს.

ასეთმა მათმა მოქმედებამ უკვე თვალსაჩინო ნაყოფი გამოიღო და მთელი სიღნაღის ქართველი გლეხობა წელში იმართება.

ყველა მგზავრები ერთხმად ეთანხმებოდენ მოსაუბრეს და თვით თანამგზავრი ჩვენი ხელოსანი სომხებიც მოსაუბრის სიტყვებს თავიანთი მაგალითებით ადასტურებდნენ.

ბევრი ჯაყჯაყის შემდეგ, როგორც იყო გვეშველა და სიღნაღს მივახწიეთ· მთელი დღით მოკუმშული მუხლები გავშალეთ და დილიჟანიც სიამოვნებით დავტოვეთ. მეორე დღეს, რაც საქმე მქონდა მოლოდინზე ადრე დავასრულე, ავდექ და ჩვენი ძველი ქალაქის და ნაშთების დათვალიერებას შევუდექ.

მაგრამ ვაი იმ სანახაობას, რაც მე იქ ვნახე.

მართალია, ბევრსა სწერენ ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში და წიგნებშიაც იმის შესახებ, რომ ჩვენი კულტურის და წინაპართა ნაშრომ-ნაოფლარის ნაშთების ძარცვა-გლეჯა და გავერანება, დაწყებული წარსული საუკუნის პირველი ხანებიდან, დღესაც არ შეწყვეტილაო. ასევე მოგვითხრობენ გულის ამღვრევს მაგალითებს ჩვენი კულტურული ნაშთების სამშობლოდან გატანაზე და უცხოთა ხელში ჩაგდებაზე. აგვიწერენ სხვისი ოჯახების და მუზეუმების ჩვენი კულტურული და ისტორიული ძვირფასი ნაშთებით გამდიდრებაზე. ერთი სიტყვით მოგვითხრობენ ჩვენი საგანძურებისა და ძვირფასი კულტურული ნაშთების უპატრონობაზე და მათ ვანდალურ გადამახინჯება გაოხრებასა და განადგურებაზე; მაგრამ სულ სხვაა წაკითხვა წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთებში ასეთი ამბებისა და სულ სხვაა პირადათ განცდა იმ გრძნობათა, რასაც თავისი თვალით ნანახი იწვევს.

ჩემი მიზნის სისრულეში მოყვანა ქალაქის ცენტრიდან დავიწყე. უპირველესი ჩემი ყურადღება მიიპყრო უზარმაზარმა სამრეკლომ და კოხტად წამოჭიმულმა შუაგულ ქალაქში საყდარმა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს ჩვენი ძველი ნაშთი უნდა ყოფილიყო, რადგანაც სტილი საყდრისა ნამდვილი ქართული იყო. მაგრამ გალავანში მდგომმა ტერტერამ ეჭვი დამიბადა. ვიკითხე, ეს საყდარი ვისია მეთქი? მის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა შევიტყე, რომ ეს უზარმაზარი მშვენიერი საყდარი სომხებისა ყოფილიყო.

— სტილი და მორთულობა რომ ჩვენი აქვს?—შევეკითხე გულდაწყვეტილი.

— მართალია ქართული სტილისაა და ქართველების აშენებულიც გახლავთ, მაგრამ დღეს სომხებს უპყრიათ ხელში—მიპასუხა. ამ ლამაზი საყდრის პირდაპირ მეორე მცირე ზომისა და უფრო უბრალო საყდარი კი ჩვენი აღმოჩნდა.

ამ სიტყვით გულ ჩათუთქულმა რაღაც დაბეჩავებულათ ვიგრძენ თავი და ხმის ამოუღებლივ გავეშურე ძველის ციხის გალავანისაკენ.

(შემდეგი იქნება)

გ.-ზიანი.

დეპეშები

პეტროგრადი, 25 მაისი. მთავარი შტაბის მოხსენება. შავლის რაიონში 23—24 მაისს საზოგადოდ მდგომარეობა არ შეცვლილა. ოსოვეცთან, საღამოთი, 23 მაისს, ზარბაზნები დაუშინეს შკვოსა და საზომოსთან მტერი ამაოდ სცდილობდა იერიშებით შემოტევას. ორუიცის ველზე და პრასნიშის რაიონში 24 მაისს ზარბაზნის ცეცხლი მძვინვარებს. ვისლის ნაპირზე, სანზე და ლიუბაჩევკაზე მდგომარეობა უცვლელია. მოსტიკეს მიმართულებით, ვიშნას მარცხენა ნაპირზე და რიშკა-პაკოსტ-ოსტროჟეცზე მტერმა 23 და 24 მაისს დილით მკაცრი იერიშები მოიტანა. რადენიცეს სამხრეთ-დასავლეთით „295“ სიმაღლეზე ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. დნესტრზე ჟიდაჩევთან მტერს აღარ მოუტანია იერიში. ჟურავნოს რაიონში, 24 მაისს, ღამით მტერმა მოახერხა დნესტრის ზოგიერთ ნაპირზე გადასვლა. ლუკვას ღელეში მტრის იერიში მოვიგერიეთ, მასთან 400 ტყვემდე წამოვიყვანეთ. კალომნიდან დასავლეთით მტრის ბეჯითი იერიშები მოვიგერიეთ. უკუგდებულ მტერს დიდი ზარალი მოუვიდა. ჩვენს დივიზიის ერთს ფრონტზე ავსტრიელებმა დასტოვეს 5 ათასამდე მოკლული. ამ რაიონში 700 კაცამდე წამოვიყვანეთ ტყვეთ.

ლონდონი, 25 მაისი, ოსმალთა სიმაგრეებზე ჰალიპოლისის რაიონში პარასკევს დილ. დაიწყო იერიში და შაბათამდინ გასტანა. იერიშმა ნაყოფიერად ჩაიარა. 500 მეტრამდე წავიწიეთ, სამ რიგი თხრილები ავიღეთ და 1000 ტყვემდე წამოვივვანეთ. ამ ჟამად ახალს პოზიციებზე ვმაგრდებით.

ისპაჰანი, 25 მაისი. ყოველ ღამ გაჩაღებული სროლაა. გუშინ ინგლისის საკონსულოს დაუშინეს. გერმანელთა ბრბომ ღამის სიბნელით ისარგებლა და მიიმალა.

კიევი. სამხედრო ოლქის უფროსისაგან აკრძალულია სპირტიანი ნივთიერების გაყიდვა.

სოლუნი. 24 მაისი. ინგლისმა საბერძნეთს აუკრძალა სამხედრო მასალის გატანა დედეაგაჩში. მისი ფიქრით ეს მასალა გააქვთ ოსმალეთში. სმირნიდან მოგზაურები იუწყებიან, რომ ოსმალთ 5 ათასი იტალიელი დაუჭერიათ, რომელთაც სამშობლოში მოუსურვებიათ დაბრუნება.

სტოკჰოლმი. 25 მაისი. ვაშინგტონიდან გადმოსცემენ ამერიკელთა ნოტას გერმანიის წინააღმდეგ. თუ გერმანია არ მასცემს შესაფერ გარანტიას და წყალქვეშათა შემწეობით არ შესწყვეტს გემების დაღუპვას, მაშინ დიპლომატიურ დამოკიდებულების შეწყვეტა აუცილებელი იქნებაო.

თბილისი, 25 მაისი. კავკასიის მთავარ შტაბის მოხსენება. 22 მაისს ოსმალნი შეეცადნენ იერიშის მოტანას ზღვის ნაპირას, მაგრამ ყველგან მოგერებულ იქმნენ. მელიაზგერის მიმართულებით მზვერავნი შეეჯახნენ. ჯავლაბასთან დამარცხებული ოსმალთა ჯარი მთის კალთებში მიიმალა. 23 მაისს, სარაყამიშის მიმართულებით არაქსის ველზე მოწინავე რაზმთა შეჯახებაა. ჩვენმა ჯარებმა დაიჭირეს ადილ ჯევასკალი ვანის ტბის ნაპირზე. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

ქაირი. 24 მაისი. ოსმალებმა სუეცთან განაახლეს იერიში, მაგრამ მოგერებული იქმნენ.

ათინა. 24 მაისი. სმირნიდან და სტამბოლიდან ჩამოსული მგზავრები იუწყებიან: სახადი მუსრს ავლებს ოსმალთა ჯარს და ხალხსაც ედება.

დარდანელის აღების აუცილებლობის გამო სულთანს ურჩევენ დერვიშთა მონასტერში გადასვლას, კონიის ახლოს, მაგრამ სულთანი ირჩევს ტახტზე უარი განაცხადოს მემკვიდრე პრინცის სასარგებლოდ, ოღონდ დარჩეს სტამბოლში. დაჭრილთა რიცხვი სტამბოლში საერთო შიშს იწვევს. ხალხი წყევა-კრულვას უგზავნის ახალგაზდა ოსმალებს, რომლებიც ჰპირდებოდენ ხალხს ქრისტიანთა მამულნადოვლათევს. კრიტია ისევ მოკავშირე ჯარმა დაიჭირა. ხალხი დიდათ სწუხს მეფის ავამყოფობის გამო.

სტოკჰოლმი. 25 მაისი. დატყვევებულ აფიცერთა ბანაკში, გალეშში, ერთმა ფელდფებელმა ტყვე აფიცრებსაც მოუნდომა გაჩხრეკა, რადგან ბანაკში ქურდობაა გავრცელებულიო, რუს პრაპორშიკმა გერლიტმა არ შეასრულა ეს განკარგულება, რადგან მას აფიცერთა ღირსების შეურაცხყოფად მიაჩნდა გაჩხრეკა. სამხედრო სამართალმა ცამეტი თვით ციხე მიუსაჯა გერლიტს.

პარიზი. 25 მაისი. ზღვათა სამინისტრო იუწყება: საფრანგეთის გემი „კაზაბლანკა“ 21-ს ღამე წააწყდა ნაღმს ეღეის ზღვის ერთ ყურეში და აფეთქდა. ინგლისის ნაღმოსანმა გადაარჩინა 64 კაცი. შესაძლებელია რომ გადარჩენილი ნაპირს გავიდნენ ცურვით და ოსმალებს ჩაუვარდნენ ხელში.

ოფიციალურად აცხადებენ: არასის ჩრდილოეთით ღამე საარტილერიო ბრძოლა იყო, რომელიც მეტად გამწვავდა ლორეტისა, აბლენისა, კაბარე-რუჟის რაიონში და აგრეთვე სუშეს მახლობლად. აქ ჩვენ მოვიგერეთ მტრის ორი კონტრ-იერიში. ნოტრ-დამ-დე-ლორეტის აღმოსავლეთით ჩვენ ერთი კილომეტრით წავიწიეთ, მეორე ადგილას—100 მეტრით. დილის 5 საათზე იერიშით მივედით მტერზე ტუტკანის ფერმის მიდამოებში და 1200 მეტრის სიგძეზე წავართვით ორი რიგი თხრილისა. მდინარე ენის ჩრდილოეთით ცხარე ბრძოლის შემდეგ მოვიგერეთ მტრის მედგარი იერიში შევინარჩუნეთ პოზიციები ერთ კილომეტრის მანძილზე და ავიღეთ ორი რიგი მტრის თხრილებისა. გერმანელებს ციხე ვერდენისთვის დღეს ზარბაზანი აღარ დაუშენია.

ლონდონი, 25 მაისი. გერმანელთა წყალქვეშამ ჩასძირა ნაღმების ამოსაკრები გემები „დრამიო“, „სტაროფევსტი“ და ხომალდი „სანლაიტი“. მეზღვაურნი გადარჩნენ.

ლონდონი. 24 მაისი. ჩერჩილმა დუნდში სიტყვა წარმოსთქვა: უკვე აღარ არსებობს შიში, ომის დაწყებისას რომ გვაშინებდა. ზღვა მტრისგან განწმენდილია. მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავების თარეში ვიწრო რაიონით არის შემოფარგლული. ყოველ ეჭვს გარეშეა დღეს ინგლისელ მეზღვაურთა უპირატესობა და მაღალი ღირსება ინგლისის გემებისა. ინგლისის ძლიერება მატულობს დღითი დღე. დარდანელში რომ მოქმედობს ის ესკადრა გამოყოფილია ჩვენი საზღვაო ძალის ნამეტნავისაგან. ეს ნამეტნავი რომ დარდანელში არ მოგვეხმარა, უქმად უნდა დარჩენილიყო. ფლოტისაგან უნდა გამოირიცხოს მრავალი დაძველებული გემი, რომ მათი ეკიპაჟით ახალი გემების პერსონალი გაძლიერდეს. ამიტომაც უფრო მეტი ზარალიც ვერავითარ ზიანს ვერ მიაყენებს ინგლისის ფლოტის ძლიერებას. სამხედრო ოპერაციები ძვირად ჯდება ხოლმე; სამაგიეროდ დარდანელთან მომქმედი ფლოტი და ჯარი ძალიან ახლო დგას საბოლოო გამარჯვებასთან, რომლის ბადალი ჯერ არც კი მომხდარა. იგი გამარჯვება მოგვიახლოვებს თვით ომის დასასრულსო.

აღნიშნა თუ არა საერთო მდგომარეობის სანუგეშო ვითარება, ჩერჩილმა განაგრძო: ერი სასოებით და სიმტკიცით მოელის ახალი მთავრობის მოქმედებას. კამათს გარეშე სდგას სახელმწიფოს უფლება ქვეშევრდომებზედ, საერთო განსაცდელის ჟამს. თუ საჭირო იქმნა, მთავრობა კიდევაც მიმართავს იძულებას; მაგრამ ინგლისელი ისეთი ხასიათისაა, რომ ფლანდრიისა და საფრანგეთის სისხლით შეღებილ სანგრებს არას დროს არ მოაკლდება ინგლისელი მოხალისე ჯარისკაცები. სულ სხვაა ქვეყნის შინაური დაცვის საკითხი.

ევროპაში შეუძლებელია მტკიცე ზავი, ვიდრე გერმანიის სამხედრო სისტემა საბოლოოდ არ დაემხობა. ინგლისი მოკავშირე სახელმწიფოთა ბურჯია და ეს ბურჯი მზად უნდა იყვეს, როგორც ერთი კაცი, ისე გასწიოს წინ.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ცეპელინები ლონდონში.

უკანასკნელათ ლონდონში 90 ყუმბარა ჩამოყარეს ცეპელინებმა. მეტი წილი ცეცხლის წამკიდებელი ყუმბარა იყო. ბევრი შენობა გადაიწვა. ცეცხლის მქრობელი რაზმი მარდათ მუშაობდა. ყუმბარებმა რამდენიმე კაცი იმსხვერპლა.

ავსტრია-გერმანიის ჯარი იტალიის საზღვარზე.

იტალიური გაზეთის სიტყვით, ავსტრიასა და გერმანიას 650,000 ჯარისკაცი გამოუგზავნია იტალიის წინააღმდეგ. ტიროლში ჯარს მთავარსარდლობს გენერალი დანკი. შტაბის უფროსად ჰყავს გენერალ-მაიორი პიშლი.

დარდანელ-სტამბოლის გარშემო.

ამ მოკლე ხანში დარდანელში ცხარე ბრძოლაა მოსალოდნელი. ორივე მხარე ემზადება. მოკავშირენი ახალი დესანტის გადმოსხმას ფიქრობენ. სტამბოლის აზიის სანაპიროზედ, ისე როგორც ბოსფორის სხვა ადგილებში, გერმანელებმა ნაღმი-სროლია მანქანები დასდგეს.

ჯავიდ-ფაშა ბერლინში.

ბერლინში წასულ ჯავიდ-ფაშას თან საფინანსო მისია აქვს დავალებული, თანაც შესაფერი ღონისძიება უნდა გამოსძებნოს, რომ რუმინია და ბულგარეთი არ გადუდგნეს გერმანულ ბლოკს.

ლიბავიდან გერმანელებს ბევრი არაფერი წაუღიათ.

პეტროგრადის სააგენტო უარყოფს გერმანელთა ცნობას, თითქოს ლიბავა ხმელეთის ციხეცა ყოფილიყო და სანაპიროცა. იგი გაუქმდა, როგორც ციხე, ჯერ კიდევ 1910 წელს აყარეს რაც კი რამ იარაღი ჰქონდაო. ასე რომ დღეს იგი უბრალო დაუცველი ზღვის პირის ქალაქი იყო და სხვა არაფერიო. გერმანელები მოელოდნენ დიდ-ძალ სანოვაგესა და ტროფეას. ტვირთის წასაღებად დიდძალი გემიც მოუყვანიათ. როგორ დასწყდებოდათ გული რომ ლიბავაში ვერაფერს ნახავდენ. ჩვენ ყველაფერი ადრე გამოვზიდეთო.

ახლად აღმოჩენილი სამარხი სითხე.

გერმანელებს ოპატოვის რაიონში ლაშქრობის დროს ახალი იარაღი შეამჩნიეს მკვდრების დასამარხავად. საძმო საფლავს სწრაფადა სჭრიდნენ და რაღაც [illegible] შიგ, [illegible] დახოცილთ დამარხავდნენო.

ლიბავის რაიონი.

ლიბავის რაიონში გერმანელებმა თარეში თითქოს შეაჩერეს. მათი ძალები თავმოყრილია ვერეგელე-გრობინთან, სადაც მრავალი თხრილი და ხელოვნური სიმაგრე გაუმართნიათ.

ზ ა ა ს ი

III

ლიბერალი რუსი.

მოსკოვის ცნობილ ლიბერალურ გაზეთში „რუს. ვედომოსტ“-ში მოთავსებულია საყურადღებო წერილი ასეთის სათაურით: ვანის ისტორიიდან. წერილი დაუწერია ვლ. გორდლევსკის. რა თქმა უნდა, ბ-ნი გორდლევსკი ლიბერალი იქნება და მეცნიერიც, რადგან გარდა მეცნიერისა და ლიბერალისა იქ, „პროფესორთა გაზეთში“ ბინას ვერ იშოვიდა.

უეჭველია, ისიც მოგეხსენებათ, რომ ეს გავლენიანი გაზეთი საკუთრებაა ერთის ღონიერის ჯგუფისა. წინად ამ გჯუფში ამხანაგად ითვლებოდა ცნობილი პუბლიცისტი გრ. ჯანშიევი, რომელმაც, არც აცივა, არც აცხელა და ჩვენი „ხეობის“ უმთავრესი დაბა ბორჯომი სომხეთში ჩასთვალა, სწორედ ისე, როგორც ინგლისელმა ლინჩმა ზეკარის უღელ-ტეხილი აბასთუმნით სომხეთის პროვინციაში მოაქცია.

ჯანშიევის სიკვდილის შემდეგ ლიბერალურ გაზეთის ერთ ერთ მესაკუთრედ ბ-ნი ა. ჯიველეგოვი გახდა. ეს მეცნიერი და პუბლიცისტიც შესანიშნავია იმით, რომ ლაზისტანის, ანუ ჭანეთის დედა ქალაქი ტრაპიზონი შეიტანა მომავალ ავტონომიურ სომხეთის ტერრიტორიაში. ავტონომიურ სომხეთს „გასავალი“ უნდა ჰქონდეს შავის ზღვისკენაო, ბრძანებს ბ-ნი ჯიველეგოვი. ფრიად გონიერია და აზრიანი ასეთი მამაშვილური მზრუნველობა

მაგრამ ჭანეთს რაღა პასუხს აძლევთ? განა ჭანეთს „შესავალ-გამოსავალი“ არ უნდა? ეს სადაური ლიბერალობაა, ერთი ერი გააბედნიეროს, მეორეს კი ჰაერი მოუსპოს და წაახრჩოს! უკეთუ ჯარი მიდგა ოსმალეთის დაწიწკვნა-დაფლეთაზე, უფრო უპრიანია ტრაპიზონი ჭანებს დარჩეს, როგორც მათი დედა-ქალაქი და მთელი ტრაპიზონის სანჯაყი საქართველოს შეუერთდეს. რუსეთის მთავრობამ ვალად დაიდო ცნობილ ტრაქტატის ძალით საქართველოს შეკრება, გაერთიანება და ასეც მოხდება, ვინაიდგან ასეთია გარდუვალი ძალა ლოღიკისა და ისტორიისა. „შესავალ-გასავალი“ აქ რა მოსატანია!*)

დავუბრუნდეთ ბ-ნს გორტლევსკის.

ჩვენმა მხედრობამ ამ დღეებში დაიპყრო ქალაქი ვანი. სწორედ დროსა და ჟამის შესაფერია გაზეთში ისეთი წერილი, როგორიც ინება ბ-ნმა გორდლევსკიმ. რუსეთის საზოგადოებამ არც ანი იცის და არც ბანი ჩვენის ისტორიისა. მწყრალადაა იგი აგრეთვე სომხის ისტორიასთან. მაშასადამე, გაზეთის მკითხველი ხარბად დაეწაფებოდა ბ-ნ გორდლევსკის წერილს სულიერ წყურვილის მოსაკლავად.

მერე და რა უამბო დარბაისელმა მწერალმა დარბაისელ გაზეთის მკითხველს? მოკლედ აი რა: ასურეთის მეფენი შევიდნენ სომხეთში (არმენია) და დაუწყეს ბრძოლა ქალდებს. ქალდების თემნი პირველად შეაკოწიწა და გააერთიანა ნაირის ქვეყანამაო (ტიგრისა და ეფრატის სათავეში მდებარე), მაგრამ მალე, მეცხრე საუკუნეს, ქრ. დაბადებამდე, პირველობა და ბატონობა ურარტელებს დარჩათო. ურარტელები და ასურელები დიდ ხანს ებრძოდნენ ერთმანეთს. საუკუნეთა მსვლელობაში ურარტელთა სახელმწიფო იზრდებოდა და განზე ფესვებს იდგამდა, ხოლო ცენტრი სახელმწიფოსი ჩრდილოეთიდან სამხრეთს გადმოიტანა ქ. ვანში, რომელიც საიმედო საფარს წარმოადგენდა ასურელების წინააღმდეგო. „ნაირის მეფეთაგან“ შობილი დინასტია ურარტელებისა გარდაიქცა „ბიაინის მეფეებადაო“ (ესე იგი ვანის მეფეებად).

შემდეგ ნაამბობია, თუ როგორ ძლიერდებოდა ურარტის სახელმწიფო. თვით ასურეთის მეფეთ ქედი მოიხარეს ურარტის მეფეთა წინაშე.

ნიშნად გამარჯვებისა ურარტს მეფე არგისტისმა I (VIII საუკუნე ქრისტეს დაბადებამდე) ვანის კლდეზე გამოჰკვეთა 400 სტრიქონიანი წარწერა. ურარტელ მეფეთა სახელოვან საქმეთა ამბებს მოგვითხრობენ წარწერანი მალატიისა, ურმიისა, ერევნის გუბერნიისა და ყარსის ოლქისაო.

ურარტელთა მეფენი სალაშქროდ ერევნის ველ-მინდორს უწევდნენო, ხოლო მეფე არგისტისმა I მდინარე არეზი (არაქსი) გადალახაო. ამიერ კავკასიაში ურარტელთა კულტურის სამი ცენტრი იყოვო. არმავირში, ალექსანდროპოლში (გუმბრია და ტბა გოქჩასთან (გელაქუნი) ამ ნაირად. დაასკვნის ბ-ნი გორლევსკი, ურარტის მეფედ გაჰკვალეს გზა ვანიდან ამიერ კავკასიაშიო. ალბად იგი შეიჭრებოდნენ ხოლმე ჩინგილის უღელტეხილით დი სარიყამიშითო.

ეს ყველა კარგი, მაგრამ მკითხველს დიდად გაუჭირდება გამოიცნოს—ვინ იყვნეს: ქალდნი, ნაირეულნი, ურარტელები, სომეხთა წინაპარნი, თუ ქართველთა? ბ-ნი გორდლევსკი იმასაც ბრძანებს, რომ ვანის ლურსმულ წარწერების შესწავლას და წაკითხვას სცდილობდნენ მრავალნი მეცნიერნი სენმარტენიდან მოყოლებული სეისამდე. დაულალავ ასირიოლოგმა მ. ვ. ნიკოლსკიმ გაარჩია და გამოიკვლია ამიერ-კავკასიაში ნაპოვნი ურარტული წარწერებიო.

მერე და რა დაასკვნეს ამ მეცნიერებმა? ზოგი მათგანი იმ აზრისაა, რომ ურარტელები ქართველები იყვნენო. რად შერცხვა ბ-ნს გორლევსკის ამის თქმა? განა ვინ დასტუქსავდა? მეცნიერული მიუდგომლობა სწორედ ამას მოითხოვდა... თორემ აბა რასა ჰგავს ესა: ვანი სომეხთა ქალაქია; ნაამბობია ვანის თავგადასავალი, არწრუნისა, ვასპურაკანის სამეფოს ისტორია, ანისა და ყველა ამას წინ მიუძღვის ქალდებისა, ნაირელების და ურარტელების მოკლე ისტორია.

მკითხველი უეჭველად იტყვის: ეს გადაშენებული ერი დღევანდელ სომხის წინაპარი იყოვო.

ჩვენ კი ვიტყვით: ისტორიას ფერუმარილი არ უყვარს.

ა.—ლი.

---

*) შესავალ-გასავალი ჩვეულებრივი ტერმინი ქართულ სიგელ-გუჯრებისა. რუსულად ასე თარგმნიან: **входъ и выходъ**.

სკოლის რეფორმის გამო

სახალხო განათლების სამინისტროში ამ ჟამად გაცხარებული მუშაობაა. პროექტი პროექტზე იწერება და ირკვევა საერთო გეგმა მომავალ სკოლისა.

ბევრი საიმედო და სასარგებლო მოსაზრება წამოაყენეს, მაგრა ამასთან ერთად ბევრი რამ სახიფათოც არის. მეტადრე დაჩაგრულ ერთათვის.

სკოლისა და ცხოვრების დაახლოვება, მთლიანი სახის მიცემა, მისი გაცოცხლება თანამედროვე საჭირო ცოდნის შეტანით, საზოგადოებრივი ინიციატივისათვის შესაფერი ადგილის დათმობა—ყველაფერი ეს ისეთი რამ არის, რაიცა სრულს თანაგრძნობას იწვევს საზოგადოებისას. მაგრამ ამასთანავე არსებობს აზრი სკოლის გასლავიანებისა, რაიც კეთილს არაფერს მოასწავებს და ვალდებულ ხდის ყველას, განსაკუთრებით კი უფლება მოკლებულ ერებს, ფხიზლად მოექცნენ ამ საკითხს და დაუპირდაპირონ მას თვისი შეგნებული მოქმედება.

ნამეტნავი ხიფათი მოელის იმ ერებს, რომელნიც მოკლებულ არიან ეკლესიის თავისუფლებას, საზოგადოებრივ ინიციატივას, ერობასა და საქალაქო თვითმართველობას.

საქართველოში ამ უნუგეშო მდგომარეობას აძლიერებს და აღრმავებს აქ გამეფებული მავნე სწავლა აღზრდის სისტემა და სრული უქონლობა ეროვნულ-პედაგოგიურის მიმართულებისა.

ჩვენ ყველგან „დამყოლი“ პოლიტიკის მიმდევარნი ვიყავით, საწინააღმდეგო აქტივობას იშვიათად ვიჩენდით.

ასე ვიქცეოდით ყველგან, ყველაფერში და ასევე მოვიქეცით სკოლის საქმეშიაც. ვერ შევძელით გარკვეული შეგნებისა და მიმართულების შექმნა. მართალია, დრო გამოშვებით ანორმალობის წინააღმდეგ პროტესტი გაისმოდა ხოლმე, მაგრამ იგი შემთხვევითი, კერძო ხასიათისა იყო გულს მოვიჯერებდით მხოლოდ მაშინ, როდესაც რომელიმე აბეზარა პოლიტიკოსი მეტად მოურიდებლად შელახავდა ხოლმე ჩვენს ეროვნულ თავმოყვარეობას, სასკოლო პოლიტიკას კი რომელიც გადაგვარებას ემუქრებოდა მთელ ჩვენს ეროვნულ სხეულს, თითქოს ვერა ვგრძნობდით.

ძველი სასწავლებელი

პედაგოგიურ ზნით და უსიცოცხლო საგნებით სიძულვილს იწვევდა მოზარდ თაობაში. მის სიმპატიურსა და სიყვარულის საგნად, წინააღმდეგობის კანონის ძალით, იმ სამშობლოსა ხდიდა, რომელსაც ეს სასწავლებელი მოსპობას ემუქრებოდა. განახლებული სკოლა ბავშვის გემოვნებისა და ბუნებასთან შეთანხმებული სულ სხვა შედეგს მოიტანს.

ამისათვის კი საჭიროა უფრო მეტი სიფხიზლე და გაორკეცებული შეგნებული მუშაობა.

რა გვაქვს ხელში, რა შეადგენს ჩვენს უახლოვესს საჭიროებას და რის გაკეთება შეგვიძლიან არსებულ პირობებში.

ჩვენ ხელთ არის მხოლოდ ჩვენი მოზარდი თაობა და შედარებით საკმაო თანხა რომელსაც ყოველწლიურად ხარჯავს ქართველი საზოგადოება სწავლა-აღზრდის საქმეზე.

ჩვენს უახლოვეს საჭიროებას შეადგენს ჩვენი ღვიძლი შვილები ისეთ გზაზე დავაყენოთ და აღვზარდოთ რომ თავის თავსაც გამოადგნენ და ერსაც სამსახური გაუწიონ.

საჭიროა ჩვენი მხრითაც ყოველივე ღონე ვიღონოთ და ვეცადოთ გამოსადეგი და საღი ცოდნა მიეწოდოს ჩვენს უმეცრების ბურუსში გახვეულ ხალხს; საჭიროა შემოღება საღ ეროვნულ ნიადაგზე დამყარებულ საყოველთაო სწავლისა. უმთავრესად უნდა შეიცვალოს საშუალო სწავლის წესი. სკოლამ მიზნად უნდა დაისახოს ჩვენი ცხოვრებისათვის საჭირო ცოდნით აღჭურვილ თაობის აღზრდა. ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ სამეურნეო, ტეხნიკურ-პროფესიონალურ სასწავლებელთა გავრცელებას. საზოგადოებრივი სუბსიდია განსაკუთრებით ამ ტიპის მთლიან სასწავლებელს უნდა მოხმარდეს, რათა სწავლა დამთავრებულნი ცხოვრებისათვის მომზადებულნი იყვნენ.

ყოველივე პრაქტიკული ცოდნის გავრცელება ხალხში ყოველ დღიურ საქმედ უნდა გადიქცეს.

საჭიროა ნათელი და გარკვეული შეგნება, გარკვეული ეროვნულ პედაგოგიური მიმართულება, რათა იგი გაუძღვეს ყველა საჭირო საქმეს: წიგნების და სახელმძღვანელოების შედგენას, საჭირო ცნობების გავრცელებას, მასწავლებელთა და მოღვაწეთა კრებების გამართვას და სხვა მრავალს, ამ დიად მოვლენასთან დაკავშირებულს საქმეს.

დღეს კი ყველა ჩვენგანი მოვალეა თითო ქვა მაიტანოს ამ დიად შენობაზე. ნუ დავივიწყებთ, რომ საღი და სასურველი გადაწყვეტა სწავლა-აღზრდის საქმისა საღი და გონივრული გადაწყვეტაა ეროვნულ და სოციალურ საკითხებისა ერის საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ.

სანდროშვილი.

ახალი ამბავი

◆ **დიდი მთავრის კონსტ. კონსტანტინეს ძის დეპეშა.** თავ. მ. ა. სუმბათაშვილმა მათი უდიდებულესობის დიდი მთავრის კონსტ. კონსტანტინეს ძისა და მათი იმპ. უდიდ. მთავრინა ელისაბედ მავრიკის ასულის დეპეშა მიიღო: „გულწრფელად გმადლობთ ჩვენი ოჯახური მწუხარების თანაგრძნობისათვის.

კონსტანტინე, ელისაბედი“.

ეს დეპეშა პასუხი იყო თავ. მ. ა. სუმბათაშვილის მიერ გაგზავნილ ტელეგრამაზე: „თავად-აზნაურთა დეპუტატობა უღრმესი თანაგრძნობით ეგებება თქვენ ოჯახის უბედურებას. ქართველთა თავად-აზნაურობა დასტირის საპატიო ველზე გმირულად მოკლულ კონსტანტინე ალექსანდრეს ძეს“.

თავ. სუმბათაშვილი“.

◆ **არაგვის ხეობა და მთიულეთი.** როგორც მოსულებმა გვიამბეს, არაგვის ხეობაში ჭირნახულის მოსავალს კარგი პირი უჩანს. პურისა და ქერის ჯეჯილები მშვენიერი სანახავია და, როგორც ეტყობა, პური ადრე დამწიფდება. სულ სხვა სურათს წარმოადგენს ამ მხრივ მთიულეთი. დიდი თოვლის გამო მინდვრების დათესვა ძალიან დაგვიანდა; ხვნა-თესვას ხალხი მხოლოდ ეხლახან შეუდგა, რაიცა შუა თიბათვემდე გასტანს.

◆ **ქართ. საქველმოქმედო საზოგადოება** აპირებს წარმოდგენა გამართოს 13 თიბათვეს, რომლის შემოსავალი მოხმარდება ომისაგან დაზარალებულ ქართველ მაჰმადიანებს და მოუსავლობისაგან დამშეულ მცხოვრებთ დასავლეთ საქართველოში. საქმის მოსაწესრიგებლად არჩეულია ცალკე კომისია ი. ს. ელიაშვილის თავმჯდომარეობით.

◆ **ქართ. სამეურნეო საზოგადოებას** შეძენილი აქვს ჩრდილო-კავკასიაში დიდძალი სიმინდი ომისაგან დაზარალებულ ქართველ მაჰმადიანებისა და დამშეულ გურულებისა და მეგრელებისათვის. სიმინდი უყიდიათ ფუთი 1 მან. გზის ხარჯით და სხვა ხარჯებიც გამომყიდველმა უნდა იკისროს იმ სადგურამდე, საცა სიმინდი უნდა დაიცალოს. მაგრამ სიმინდის წამოღება გვიანდება ვაგონების უქონლობის გამო. ამისათვის საზოგადოებამ სთხოვა როსტოვში მიმავალ თბილისის საბირჟო კომიტეტის წევრს ს. ქ. სულხანოვს იშუამდგომლოს როსტოვის სარაიონო კომიტეტის წინაშე დაუბრკოლებლად დაუთმოს საკმაო რიცხვი ვაგონებისა.

◆ **გოგირდი.** ძმ. ფრიდონოვთ ქ. რენში (რუმინიის საზღვარზე) ევროპიდან მოტანილი 9 ვაგონი გოგირდი ჰქონიათ ფრიდონოვები ამ გოგირდს იაფ ფასად უთმობენ კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას, მხოლოდ გოგირდის გადმოტანა საზოგადოებამვე უნდა იკისროს. ვინაიდან გოგირდი ჩვენში აღარ მოიპოვება და ვენახებს ნაცრისაგან გასაცდელი მოელის, საზოგადოების საბჭომ შუამდგომლობა აღძრა კავკასიის სამხედრო მიმოსვლის უფროსის, ბ-ნ კარპოვის წინაშე მისცეს საზოგადოებას საკმაო რიცხვი ვაგონებისა.

◆ **ნიაღვარი თბილისში.** თბილისში შეუწყვეტელი წვიმებია. ნიაღვარმა ბევრგან დიდი ზიანი მოიტანა. ხშირად ზოგიერთ ქუჩაზე ტრამვაი ველარ მუშაობს ნიაღვრებისაგან, სხვათა შორის, ძალიან დაზიანდა ვერის პარკი. როგორც ამბობენ ზარალი 20 ათას მანეთამდეა.

◆ **გზების გაფუჭება.** დუშეთსა და ანანურს შუა გზა-ტკეცილი ძალიან გაუფუჭებია ნიაღვარს. ხიდები ისე დაზიანებულა, რომ ეტლები ძლივსღა გადიან. ზოგგან ზვავი ჩამოწოლილა, დაუსრულებელი წვიმების გამო ზვავი თანდათან მატულობს,

◆ **სკოლების რევიზია.** ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების სკოლების მეთვალყურე ბ-ნი გრ. ბურჭულაძე საზოგადოების სკოლების სარევიზიოდ იყო წასული. ბ-ნმა ბურჭულაძემ დაათვალიერა სკოლები ბაქოსა, ნალჩიკსა, კავკავსა და გერგეთში და უკუ დაბრუნდა თბილისში. სკოლები ყველგან კარგს მდგომარეობაში ყოფილა სწავლა-აღზრდის მხრივ, მაგრამ პედაგოგიურის და საზოგადო საქმის ყოველ მხრივ კარგად დაყენებით განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოუხდენია ბაქოს სკოლას.

◆ **სანოვაგე.** 25 მაისს თბილისში მოტანილია: ფქვილი 42 ვაგ., ხორბალი 1 ვაგონი, სიმინდი 1 ვაგ., შაქარი 1 ვაგ., ფხვიერი შაქარი 2 ვაგ., შეშა 25 ვაგ., ნავთი 2 ვაგ., ღვინო 1 ვაგ., ბრინჯი 2 ვაგ., ჩაი 3 ფუთი, ყავა 1 ნახ. ფუთი, ლობიო 85 ფ., მარილი 1,000 ფუთი, ასანთი 598 ფ., მაკარონა 169 ფ., კარტოფილი 2675 ფ., კომბოსტო 163 ფ., წვანილი 75 ფ., კარაქი 53 ფ., კვერცხი 404 ფ., დაკლული ქათმები და გოჭები 62 ფუთი.

შეცდომის გასწორება

ივ. მაჭავარიანის წერილში შემდეგი შეცდომებია:

პირველ აბზაცში დაბეჭდილია „ჩემის აზრათ“ უნდა იყოს „ჩემით აზრით“ და ბოლოში: ჩემის—ნათესაობითი სიხეა ბრუნვისა, აზრით—მოქმედებითი.

მეცამეტე აბზაცში გამოტოვებულია წინადადება: აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნათეს. სახეში „ზედმესრულს ხშირად ეკვეცება დაბოლოვება ი: ახალ“ წლის წინა ღამე და სხ.

რაბინდრანათ ტაგორიდან

* * *

თუ შენ არა გსურს ლაპარაკი, მე ავავსებ მაშინ ჩემს გულს შენი დუმილით და ჩავიკეტები შიგ...

მე ვიქნები მჯდარი ჩუმად და ლოდინით სავსე, ვით ღამე, უძრავად ფხიზედა თმენით თავდახრილი...

დილა უთუოდ მოვა, ბნელი გაჰქრება და ხმა შენი ოქროს ჩქერად იწყებს სხმას ცათა შორის...

და მაშინ სიტყვანი შენნი აფრინდებიან მღერით ჩემს ფრინველთა ყველა ბუდეთაგან და ჰიმნნი შენნი ყვავილებად გაიშლებიან ჩემს ტყეთა ყოველ ტევრში...

* * *

მისუსტებული იმედით დავდივარ მე ოთახში და ვეძებ „მას“ ყოველ კუთხეში, მაგრამ ვერ ვნახულობ სასურველს...

სახლი ჩემი დიდი არ არის და რაც გაჰქრა, არაოდეს დაბრუნდება ხელ-ახლად...

მაგრამ ვრცელია; უფალო, საცხოვრებელი შენი და მოველ „მის“ ძებნაში შენს ბჭემდე...

მე ვდგევარ შენი საღამური ცის ოქროს ტატანის ქვეშ და ვუმზერ ანთებული შენს სახეს...

მე მოველ მარადობის ზღვარამდე, საიდანაც არა დაიკარგება რა: არცა იმედი, არცა ნეტარება და არც სახე, ცრემლში ხილული...

ჰოი, ჩაჰძირე, უფალო, ჩემი დაცალიერებული სიცოცხლე ამ ოკეანეში, ჩაჰძირე იგი თვით მის ფსკერამდე...

მომეც მე, უფალო, ერთბაშად ძალა, რომ მსოფლიოს ყოველ შემცველობაში ვიგრძნო დაკარგული სათუთი შეხება...

დასაწყისი.

საიდან მოველ მე, სად მნახე მე შენ?—ჰკითხა დედას ბავშმა...

დედამ გულს მიიკრა ბავში ოდნავ ტირილით, ოდნავ სიცილით,—და ჰრქვა:

შენ დაფლული იყავ, ჩემო ყრმავ, ჩემს გულში სურვილის სახით...

შენ სუფევდი ჩემი ბავშვობის თამაშის დედოფალებში.

და ყოველ დილას, როცა მე თიხისაგან გამოვქნიდი ჩემი ღვთაების ხატებას, შენ გქმნიდი მაშინ და შენ გაქრობდი...

შენ შერთული იყავ ჩვენი სახლის ღვთაებასთან,—და როცა მას ვეთაყვანებოდი, შენ გცემდი თაყვანსა...

ჩემს ყოველ იმედში, ჩემს ყოველ შეყვარებაში, ჩემს სიცოცხლეში და დედი ჩემის სიცოცხლეში შენ ცოცხლობდი...

საუკუნოებით გირწევდენ შენ აკვანს უკვდავი სულის მუხლებზე, რომელიც ჩვენ სახლსა მფარველობს...

როცა ჩემს ქალწულობაში გული ჩემი ყლორტებსა ჰშლიდა, შენ სურნელებასავით დაჰქროდი მას თავს...

შენ ნარნარი სირბილე ყვავილობდა ჩემს ნორჩს ასოებში, როგორც ცაზე ასახულობა მზის ამოსვლის წინ...

პირველი საჩუქარი ცისა, ტყუპი დილის სინათლისა, შენ—მსოფლიო სიცოცხლის დენით მისცურავდი სადღაც, და აჰა, მოახტი ჩემს გულს...

როცა ვუმზერ შენ სახეს, მიკვირს საიდუმლო: შენ, რომელიც ყველას ეკუთვნი, ჩემად იქეც...

მე მეშინია შენი დაკარგვის და გულს გიკრავ მაგრად...

რა ჯადომ ჩამიგდო ამ წვრილსა და სათუთ ხელებში საუნჯე ქვეყნისა?!

წყარო.

სიზმარი, რაიცა დაჰქრის ჰანა ბავშვს თვალებზე,—იცის ვინმემ, საიდან მოჰქრის იგი?

ჰო, ამბობენ: იგი სუფევს იქ, საზღაპრო სოფელში, საცა ციცინათელაებით მკრთალად განათებულ ტყის ჩრდილებში ორი ჯადოსანი ყვავილია ჩამოშვებული; იქიდან მოჰქრის სიზმარი და თვალებს უკოცნის ბავშვსა...

ღიმილი, რაიცა თამაშობს ბავშვის ტუჩებზე, როცა მას სძინავს,—იცის ვინმემ, სად იშვა იგი?

ჰო, ამბობენ: ნამგალა მთვარის ნორჩი მკრთალი შუქი მოხვდა შემოდგომის ჰანა ღრუბლის ფრთას, გასაფრენად განმზადილს, და იქ დაიბადა პირველად ღიმილი ნამით განბანილ დილის სიზმარში,—ღიმილი, რაიცა დათამაშობს ბავშვის ტუჩებს, როცა მას სძინავს...

ტკბილი, ნაზი სიხალისე, რაიცა ყვავილობს ბავშვის პაწა ხელებზე და ფეხებზე,—იცის ვინმემ, სად იყო იგი ამდენ ხანს მიმალული?

ჰო, ამბობენ: როცა დედა ჯერ კიდევ ქალწული იყო, ეს ხალასი ავსებდა მის გულს ნაზი და უტყვი სიყვარულითა,—ეს ტკბილი სიხალისე, რაიც აყვავილდა პაწა ბავშვის ხელებზე და ფეხებზე.

ქაღალდის ნავები.

ყოველ დღე თითო-თითოდ ჩავუშვებ ხოლმე მე ქაღალდის ნავებს აჩქარებულ ნაკადულში..

შავი ასოებითა ვსწერ მათზე ჩემს სახელსა და სოფლის სახელს, საცა მე ვცხოვრობ..

მე იმედი მაქვს, ვინმე ნახავს მათ შორეულს უცხო მხარებს და გაიგებს, ვინა ვარ მე..

მე ვტვირთავ ჩემს პაწა ნავებს „შივლითა“, ჩვენი ბაღის ყვავილებით, და ვიმედობ, ეს რიჟრაჟა ყვავილნი ოდესმე ნაპირს მოექცევიან.

მე ვუშვებ ჩემს პაწა ქაღალდის ნავებს,—მაღლა ავმართავ თავს ცისაკენ და ვხედავ,—პაწა ღრუბელნიც უშვებენ თავის თეთრ იალქნებს..

მე არ ვიცი, ვინ არის იქ ცაზე ჩემი მეგობარი თამაშში, რომელიც უშვებს მათ ჩემი ნავების შესაჯიბრებლად..

როცა ღამე მოდის, მე სახეს ხელებით ვიფარავ და ვუმზერ სიზმარში, თუ როგორ მისცურავენ შუაღამის ვარსკვლავთა ქვეშე ჩემი ქაღალდის ნავები სულ ქვეით და ქვეით..

ნავებში სიზმართა ფერიები მისცურავენ; ნავებთა ტვირთი—კალათებია, სიზმრებით სავსენი..

მაია.

მე უნდა ქცეულვიყავ მედიდურად საკუთარი „მეთი“ და ყოველი მხრით მებრუნებინა იგი, რომ დამეფრქვია შენი ბრწყინვალებისათვის ფეროვანნი ჩრდილნი.—ასეთია ჩემი „მაია“...

შენ ამართე ზღუდე საკუთარ არსში და უხმობდი შენს ცალ-ხედ-ქცეულ „მეს“ მრავალი ხმით,—ხოლო შენი გამოყოფილი არსი ჩემში ჩამოსახლდა...

ნაღვლიანი სიმღერა ექოდ განმეორდა; ცაზე გასრიალდენ მრავალფეროვანნი ცრემლნი და ღიმილნი, ძგერანი და იმედნი. ტალღანი იმართებიან და ეშვებიან ისევ, სიზმარნი იბადებიან და ჰქრებიან ისევ ჩემში—შენი საკუთარი მირცხი პიროვანისა...

კედელზედ, რომელიც შენ ამართე, ღამითა და დღით იხატებიან მრავალთაგან მრავალი ფიგურანი. კედელს უკან—შენი სამყოფელი, გრეხილ ხაზებით უცნაურ ნახლართი; და არ მოსჩანს იქ არც ერთი სწორი ხაზი უსიცოცხლო...

დიდებული მარჯი შენი და ჩემი ცად არის [illegible] და ჩემი ხმით ჰაერია [illegible] საუკუნე ისე გადის, რომ მე და შენ ხან ვემალებით და ხან ვეცხადებით ერთიმეორეს.

გრ. რობაქიძე.

დღევანდელ ომის ეკონომიური მიზეზები.

დღევანდელმა უმაგალითო ომმა უდიდესი ლიტერატურა დაბადა შესახებ მისი მიზეზებისა. ვინ იცის რამდენი წერილი დაიწერა სხვა და სხვა ენაზე. უმეტესი ნაწილი ასეთ წერილებისა ემყარებოდა ერთგვარ დებულებას, ავარჯიშებდა მას ლოგიკურად და დასკვნაც თითქო ლოგიკური გამოდიოდა. მაგრამ მათი შეცდომა, ჩემის აზრით, მთავარ დებულების უცილობლად მიღებას უნდა მიეწეროს. ეს დებულება ტენდენციური იყო, მაშასადამე დასკვნაც ტენდენციური გამოდიოდა და ომის მიზეზები მკითხველსაც ყალბად ეჩვენებოდა.

ნურავინ იფიქრებს, თითქო ვიღაცას სისხლი სწყუროდა და მან მხოლოდ საკუთარ ჟინისა და სურვილის დასაკმაყოფილებლად ასტეხა ეს უბედურება. ომის მიზეზი უფრო ღრმაა, ვიდრე ზოგიერთებს ჰგონია.

ჩვენის რწმენით დღევანდელი ომის მიზეზი განსაკუთრებით ეკონომიურია; ამ დებულებას მშვენივრად ასაბუთებს ბატონი მორისი მილიუ თავის გამოკვლევაში „გერმანია, ეკონომიური დაპყრობა და ომი“. საკითხის განსამარტივებლად ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მკითხველს გავახსენოთ გერმანიის ზრდა-განვითარება უკანასკნელი საფრანგეთ-გერმანიის ომის შემდეგ. რკინის კანცლერის—ბისმარკის გეგმის განხორციელებამ ე. ი. გერმანიის გაერთიანებამ და საფრანგეთის დამარცხებამ მთელი ეკონომიური რევოლიუცია მოახდინა გერმანიაში. უკანასკნელ 40 წელიწადში გერმანია ისე განვითარდა ეკონომიურად, რომ მრეწველობაში პირველობა დაიჩემა მთელს ევროპაში.

გერმანიის წარმოება დღითი-დღე მატულობდა, დღითი დღე ვითარდებოდა და ამ უკანასკნელ წლებში თავის უმწვერვალეს წერტილს მიაღწია. სტატისტიკა გვიმტკიცებს, რომ გერმანიის ქარხნები დღეში შვიდჯერ მეტ რკინას ამზადებენ, ვიდრე შვეიცარია ერთ წელიწადში. ასეთი ზედმეტი წარმოება იყო მრეწველობის სხვა დარგებშიაც. საჭირო იყო ამ ზედმეტ მასალის გასაღება, ბაზრის მოპოება. გერმანიაც გაფაციცებით ცდილობს ამ ბაზრის მოპოებას. ის ხან აგადირში ჰგზავნის ჯარს, მოლაპარაკებას მართავს ხან ბელგიასთან, ხან საფრანგეთთან კონგოს დათმობის შესახებ, მაგრამ ამაოთ. მაშინ იგონებს სხვა და სხვა საშვალებას ზედმეტ ნაწარმოების გასასაღებლად.

პირველი საშვალება მდგომარეობს იმაში, რომ მოხერხებულად გაავრცელოს საკუთარი ნაწარმოები უცხო ქვეყნებში. ბელგიის დიდი ნაწილი, თითქმის მთელი ფლანდრია, სამხრეთი ამერიკა, ჩრდილოეთ საფრანგეთი გერმანელ ვაჭრებისა და მრეწველების ხელში გადადის. რაც შეეხება რუსეთს, ჩვენ ვიცით რომ, რუსეთ-იაპონიის ომის დროს დადებულ ხელშეკრულობის ძალით, გერმანიიდან შემოტანილ საქონელს ბაჟი აკლდება; თავის მხრივ, რასაკვირველია, გერმანიამაც შეამცირა ბაჟი რუსეთიდან შემოტანილ დაუმუშავებელ მასალაზე. მაგრამ ცხადია რომ აქაც გერმანია იგებდა და არა რუსეთი. მეორეს მხრივ გერმანიის მთავრობა ჯილდოსაც უნიშნავდა იმ ვაჭრებსა და სამრეწველო ორგანიზაციებს, ვინც რუსეთში ვაჭრობა-მრეწველობას გააჩაღებდა და გერმანიის საქონლით აავსებდა ბაზარს. ამით აიხსნება აუარებელ გერმანულ სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულების არსებობა რუსეთში. მეორე საშვალება—მეტოქეობა—კონკურენცია იყო. მაგალითად, გერმანიის სამეტალურგიო ნაწარმოები და განსაკუთრებით რკინა ერთი ტონა გერმანიაში ღირდა 130 მარკა, შვეიცარიაში 120—125-მდე, ინგლისში, სამხრეთ ამერიკაში და რუსეთში 103—110-მდე და იტალიაში 75 მარკა. ფასების ასეთი დაკლებით თითო ტონაზე გერმანია 10—20 მარკამდე ზარალობდა, მაგრამ კონკურენტს მალე ანადგურებდა და ამით ეკონომიური ბრძანებელი ხდებოდა უცხო ქვეყნებში. მესამე საშვალებად უნდა ჩაითვალოს გრძელვადიანი სესხი, 18, 12, 6

თვით. თუ შევადარებთ გერმანიასა და საფრანგეთში სესხის აღებას, ჩვენ დავრწმუნდებით რომ განსხვავება დიდია. საფრანგეთში, მაგალითად, მაქსიმუმი სესხის ვადა 120 დღეა. მეორე საშუალებად ჩვენ მიგვაჩნია გერმანიის მთავრობის პირდაპირი მონაწილეობა ვაჭრობა-მრეწველობაში. ამ შემთხვევაში მთავრობა იძულებულია ყოველი ღონე იხმაროს ექსპორტის გასაუმჯობესებლად. არც ერთ ქვეყნის სახელმწიფოებრივ წყობილებაში ვაჭრობა, მრეწველობა და ფინანსი ისე მეგობრულად არ ყოფილა შედუღებულ-შეკავშირებული, როგორც გერმანიაში. ვაჭარ-მრეწველთა კავშირები, ბანკების ურთიერთობა და დამოკიდებულება, მთავრობის მფარველობა და წაქეზება მრეწველობაში,—აი ყველაფერი, რაც კი შეიძინა გერმანიამ ამ უკანასკნელ 20-25 წლის განმავლობაში. ეჭვს გარეშეა, ასეთი ორგანიზაცია წარმოებას ანვითარებდა, მაშასადამე ნაწარმოები არამც თუ სჭარბობდა მოთხოვნილებას, არამედ აუარებელი სრულიად გაუსაღებელი რჩებოდა. მსოფლიო ბაზარზე გატანილმა გერმანიის ნაწარმოებმა საშინელი მეტოქეობა გაუწია ინგლისის ნაწარმოებს. ეს კი ძალიან აფიქრებდა ინგლისს. ამასთანავე რუსეთთან დადებულ ხელშეკრულობას ვადა გასდიოდა 1917 წელს. რუსეთთან მოლაპარაკებამ შემდეგ საფრანგეთ-რუსეთის მეგობრობა-ალიანსმა და ამ ალიანსის განმტკიცებამ ბოლო ხანებში, დაარწმუნა გერმანია რომ ხელშეკრულობის ვადის გასვლის შემდეგ მას უნდა ხელი აეღო რუსეთის ბაზარზე. მაშასადამე ის ნაწარმოები, რომელიც რუსეთის ბაზრისათვის მზადდებოდა, უნდა დარჩენილიყო გერმანიაში გაუსაღებელი. რასაკვირველია ამას მოჰყვებოდა უდიდესი კრიზისი, მრეწველობის კატასტროფა და გაკოტრება, რომელიც ფატალურად იმსხვერპლებდა გერმანიის დღევანდელ ეკონომიურ წყობილებას. გერმანიას ჰქონდა მხოლოდ ორი გზა—ან რამე ჯადოსნურ საშუალებით მოეპოვებინა ახალი ბაზარი, ან და იარაღით ხელში დაეპყრო იგი. ასეთ მდგომარეობაში იყო გერმანი ბალკანეთის ომამდე; ბალკანეთის ომმა უფრო გაურთულა გერმანიას მდგომარეობა, რადგანაც ავსტრია-უნგრეთმა დაჰკარგა გასასვლელი გზა სალონიკში, ამით კი გერმანიას ხელიდან გამოეცალა საექსპლუატაციო მცირე აზია. მეორეს მხრივ ყოველწლივ რუსეთიდან გერმანიაში გაზაფხულობით გადადიოდა 250,000 მიწის მუშა და შემოდგომამდე იქ მუშაობდა.

1917 წლიდან ასეთს სიერნობას ბოლო ეღებოდა. ეს კი ბევრს რასმეს ნიშნავდა გერმანიისათვის, რადგანაც მიწის მუშათა რიცხვი გერმანიაში დღითი-დღე კლებულობდა. მიუხედავათ ყველა ამისა ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ბ-ნ მილიუსს „რომ გერმანიას არავინ ემუქრებოდა—მაგრამ ყოველ მხრიდან მუქარას გრძნობდა.

გერმანელები ამტკიცებენ, რომ ისეთნი არსებობისათვის იბრძვიან. ეს სრული ჭეშმარიტებაა“, მილიტარისტულმა მთავრობამ, ფინანსისტებმა და მრეწველებმა გერმანიიდან ისეთი მანქანა გამოსჭედეს, რომელსაც უსათუოდ ეს ბედი უნდა სწვეოდა. ადრე თუ გვიან, გერმანიისათვის აუცილებელი იყო ომი. წინააღმდეგ შემთხვევაშა, როგორც ზემოდ გვქონდა ნათქვამი მას მოელოდა ეროვნულ მრეწველობის შეჩერება, სრული გაკოტრება მასსიური გაღატაკება და უცხოეთში გადასახლება გერმანიის ხალხისა. აი ამ დროს ვილჰელმ II იხმს იარალს და ომის ქარტეხილში ახვევს მთელ ევროპას. მაგრამ როგორ განხორციელდება მისი სურვილი ამას მომავალი გვიჩვენებს.

ე. ალშიბაია.

თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წლიური კრება.

24 მაისს, ნაშუადღევის 1 საათზე თავად-აზნაურობა უკვე შეკრებილი იყო ახალი კლუბის დარბაზში. მოვიდა თბილისის გუბერნატორი, ი. მ. სტრახოვსკი და კრება გახსნა. შემდეგ თავად-აზნაურობა წავიდა ფიცის მისაღებად. ფიცის მიღების შემდეგ თავად-აზნაურობა დაბრუნდა კრების დარბაზში. თავმჯდომარემ თავ. მ. ა. სუმბათაშვილმა კრებას წაუკითხა ხელმწიფე-იმპერატორთან გასაგზავნი დეპეშის პროექტი, რომელიც კრებამ ფეხზე ადგომით მოისმინა. კრებამ ერთხმად დაადგინა გაეგზავნათ მისასალმებელი დეპეშა მაღალ მთავარსარდლის დიდის მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზისათვის. აგრეთვე დადგენილ იქმნა მისასალმებელი დეპეშა გაეგზავნათ კავკასიის ნამესტნიკისათვის. შემდეგ თავმჯდომარემ მოაგონა კრებას გარდაცვალება თავ. კ. ა. მუხრან-ბატონისა, რომელმაც გმირულად დალია სული ბრძოლის ველზე, სიღნაღის მარშლის თანაშემწისა თავ. დ. კ. ჩოლოყაშვილისა, თავ. ნ. რ. ხიმშიაშვილისა და მწერლის და საზოგადო მოღვაწის ნიკო ლომოურისა და ითხოვა კრებას ფეხზე ადგომით პატივი ეცა მათი ხსოვნისათვის, რაიცა შესრულებულ იქმნა.

თავმჯდომარის წინადადებით არჩეულ იქმნა კომისია თავ. ნ. დ. ერისთავისა, ა. ი. ყანჩელისა, თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილისა და გ. ა. ყარანგოზიშვილისაგან, რომელიც თავად-აზნაურობის სახელით მონაწილეობას მიიღებს თავ. კ. ა. მუხრან-ბატონის დასაფლავების მოწესრიგებაში.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ხვალ კრებამ უნდა გადასწყვიტოს საკითხი არჩევნების შესახებ, ეხლავე უნდა მოხდეს მარშლების არჩევა, თუ სხვა დროსთვის უნდა გადაიდოს ამ საკითხის აღძვრა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ მრავალი ღირსეული ცენზოსანი თავადი თუ აზნაური ბრძოლის ველზე იმყოფება და მონაწილეობას ვერ ღებულობენ ეხლანდელ კრებაში და ამიტომ ზოგი ჩვენგანი იმ აზრისაა, რომ არჩევნები გადაიდვასო. კრება შემდეგი დღისათვის გადაიდვა.

25 მაისს კრება გაისნა ნაშუადღევის პირველ საათზე. თავმჯდომარემ, თავ. სუმბათაშვილმა გამოაცხადა, რომ ჩვენმიერ გაგზავნილ უქვეშევრდომილეს დეპეშაზე ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება შემდეგი პასუხით გავებედნიერებიეთო: „გულწრფელად ვმადლობ ქართველ თავად-აზნაურობას, ჩემდა მომართ უქვეშევრდომილბს გრძნობათა გამოცხადებისათვის, **ნიკოლოოზ**“.

უმაღლესი დეპეშა კრებამ მოისმინა ფეხზე ადგომით და „ურა“-ს ძახილით.

შემდეგ თავმჯდომარე შეეკითხა კრებას, მარშლების არჩევნები ამ კრებაზე მოვახდინოთ, თუ შემდეგი დროისთვის გადავდვათო. ატყდა აზრების გაცვლა-გამოცვლა. როცა საგანი საკმაოდ გამოირკვა, თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს. ხმას იძლეოდნენ ფეხზე ადგომით. ოცდა-ოთხი კაცი იმის მომხრე აღმოჩნდა, რომ არჩევნები საერთოდ ყველა თანამდებობის პირთა გადადებულიყო შემდეგისათვის, ხოლო 39 კაცი მომხრე იყო ეხლავე არჩევნების მოხდენისა. შემდეგ კერძო თათბირისა თავმჯდომარემ შემდეგი საკითხი დასვა: ამ კრებაზედ მოხდეს საგუბერნიო არჩევნებიც (გუბერნიის მარშლისა და მდივნისა). თუ გადაიდოს სხვა შესაფერის დრომდე. მოხდა დაფარული კენჭის-ყრა; ეხლავე არჩევნების სასარგებლოდ აღმოჩნდა 46 კენჭი, ხოლო არჩევნების გადადებისა 69 კენჭი. ამ რიგად თავ. კ. ნ. აფხაზი ისევ გუბერნიის მარშლად დარჩა.

კრება გადაიდვა საღამოს 8 საათამდე. საღამოს კრება შეუდგა გასული წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიშის განხილვას. ამრიგად მოსმენილ და მოწონებულ იქმნა სარევიზიო კომისიის მოხსენება, შემდეგ დაიწყეს კითხვა თვით ანგარიშისა. განხილულ იქმნა ანგარიშის მხოლოდ ერთი ნაწილი. კრება გადაიდვა შემდეგი დღისათვის.

საქართველოს ისტორიული მასალების დაწვა და დიმიტრი ბაქრაძის გარდაცვალების 25 წლის შესრულების გამო.

1915 წ. შესრულდა დიმიტრი ზაქარიას ძის ბაქრაძის გადაცვალების შემდეგ 25 წელიწადი. განსვენებულის დასაფლავების შემდეგ მე დავსწერე და დავბეჭდე მისი მოღვაწეობის და ცხოვრების მოკლე აღნუსხვა. მაშინ, ამ აღწერაში, მე არ შევიტანე ერთი საყურადღებო ისტორიულ გარემოების აღნუსხვა, რადგანაც გარემოება არ მოითხოვდა ამას, ახლა კი, როცა განსვენებულის მოგონების წელს საყურადღებოთ ნიშვნენ, ამიტომ მეც მოვიყვან აქ იმ საყურადღებო ამბავს, რაც მაშინ ვერ აღვნუსხეთ და ამდენის ხნის განმავლობაში ეს სხვებსაც არავის გაახსენდა.

მაშ დავიწყებთ.

დიმიტრი ბაქრაძესთან მე დაახლოვებული ვიყავი, მის ნაწერებსაც ვბეჭდავდი, ხშირად ერთად ვმოგზაურობდით კიდეც აქეთ-იქით. ბევრჯერ სხვა და სხვა საუბრის და კამათის დროს დიმიტრი ბაქრაძე გულწყრომით აღვსილი მოიგონებდა და იტყოდა ხოლმე:

— ნიკო ბერძენოვი ბერძენოვი ბერყემ მოკლაო. ბერყეს მკვდარია იგიო.

ახლა მოგახსენებთ იმასაც თუ ვინ იყო ერთიც და მეორეც.

ნიკოლოზ ბერძენოვი გახლდათ თბილისელი ქართველი, მღვდლის შვილი. სწავლა დაამთავრა თბილისის სემენარიაში 1840 წლებში. ის იყო გონიერი მამულიშვილი, მასთან ძრიელი მწერლობის და ისტორიის მოყვარე. ნამეტურ იგი კითხულობდა საქართველოს ისტორიულ წერილებს. საქართველოს ისტორია მან იმდენად შეიყვარა, რომ ჯერეთ სემენარიაში სწავლობდა, რომ საქართველოს შესახებ რუსულს ენაზედ ისტორიული წერილების წერაც დაიწყო.

მაშინ, თბილისში, ქართულს ენაზედ ქართული ჟურნალ-გაზეთები არ გამოდიოდა, ამიტომაც მწიგნობარ ქართველნი რუსულად სწერდენ თითქმის ყოველთვის საქართველოს და ქართველი ერის შესახებ და ამ წერილებსაც იმ დროის თბილისის რუსულ გაზეთ „კავკაზში“ და „ზაკავკაზეში“ ბეჭდავდენ. ასე რომ ნიკოლოზ ბერძენოვს ამის მხრით ძრახვა არ ეკუთვნის, რომ იმ დროს, როცა საქართველოში ქართულს ენაზედ არაფერი იბეჭდება, ბერძენოვი რუსულად ეჩვეოდა წერას, მისგან უამისობა არც შეიძლებოდა, რადგანაც იმ დროის სხვა გონიერი ქართველებიც სულ რუსულად სწერდენ, ასეთი იყო ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი, დიმიტრი ყიფიანი, კონსტანტინე მამაცაშვილი და ზოგნიც სხვანი, იმ დროის გონიერ-ბრძენ ქართველნი. ამ გარემოებას მეტად დიდი ისტორია აქვს. მთელ საქართველოში, ქართულს ენაზედ არც გაზეთი არსებობდა, არც ჟურნალი, არც წიგნი იბეჭდებოდა, მთელი ქართველობა სიმკვდრის ზეწარ ქვეშ იყო შესული და ამ დროს ქართველი მამულისშვილები კი რუსულად სწერდენ და ბეჭდავდენ თავის ისტოოიულ ნაწერებს საქართველოს შესახებ.

ნიკოლოზ ბერძენოვი 1846 წლიდამ უკვე მთელს საქართველოში სახელოვნებდა, მისი გულმხურვალე წერილები ქართველ ერის შესახებ ხშირად ისტამბებოდა გაზ. „კავკაზსა“ და „ზაკავკაზსკი ვესტნიკში“. თავის დროის კვალად, ნიკ. ბერძენოვი სახელოვან მეისტორიედ იქმნა ცნობილი. თავის შრომით მან მთავრობის წინაშეც დიდი ნდობა დაიმსახურა. 1850 წ. მან უკვე დასტამბა საქართველოს შესახებ ისეთი წიგნები, რითაც საპატიო სახელი დაიმკვიდრა და მასთან ბროსეს, ჩუბინაშვილსაც და სხვა ასეთ პირთაც დაემეგობრა. 1857 წ. ივ. კერესელიძემ რომ „ცისკრის“ გამოცემა განაახლა, მაშინ ნ. ბერძენოვმა აქ შრომა დაიწყო და წლის ბოლოს კი მთელი წლის „ცისკრის“ ნომრები რუსულს ენაზედ გაარჩია, რომელი გარჩევაც იმ დროისავე გაზეთ „კავკაზში“ დაიბეჭდა.

ნიკოლოზ ბერძენოვი ნამეტურ დაახლოვებული პირი გახლდათ ისტორიკოსის დიმიტრი ბაქრაძესი, მისი განუყრელი ამხანაგი და მოამაგე, ერთ უღელში შებმული. პლატონ იოსელიანის შემდეგ, საქართველოში, ქართველ შორის ისტორიის ცოდნით და შრომით ხადაც დიმიტრი ბაქრაძე იხსენიებოდა, იქ არც ნ. ბერძენოვის სახელი გამორჩებოდა.

მართლაც ბერძენოვს აქვს მეტად ბევრი შესანიშნავი წერილები საქართველოს შესახებ. ჩვენ აქ ყველას ვერ მოვსთვლით, იგი რომ დაიბეჭდოს, რამდენიმე სრული ტომები გამოვა. მასში მეტად ბევრი შესანიშნავი მხარეების აღნუსხვაც აღმოჩნდება ჩვენის ცხოვრების შესახებ.

ადგილობრივ რუსულ გაზეთის გარდა ნ. ბერძენოვი ხშირად სწერდა რუსეთის სატახტო გაზეთებსა და ჟურნალებში. სხვათა შორის, მისი წერილები და დიმ. ბაქრაძისა მოთავსებული იყო რუსულ ჟურნალ „სოვრემენიკ“-ში რომელი ჟურნალიც 1845 წლების შემდეგ რუსეთში დიდათ სახელოვნებდა და რომლის რედაქტორიც გახლდათ ქართველი ათ. ფანიაშვილი, რუსულად პანაევი. ასეთ გამოცემათა გარეშე ნ. ბერძენოვი გახლდათ წევრი კავკასიის არხეოლოგიურ კამისიის და „კავკაზსკი აქტებშიც“ დაუცხრომლად შრომობდა დიმ. ბაქრაძესთან ერთად.

ასეთი პიროვნება გახლდათ ნიკოლოზ ბერძენოვი, ასეთი მშრომელი გახლდათ იგი.

ზ. ჭ.

(დასასრული იქნება)

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

ხილის მაზანდა.

ამხანაგობა „ქართლი“ ამით აცხადებს, რომ 23-ს მაისს თბილისის ბაზარზედ გაიყიდა:

	ხენდრო	4 მან.
	ალუბალი	7 „
	თეთრი ბალი	8 „
25-ს	ხენდრო	6 „
	ალუბალი	6 „
	ბალი წითელი	7 „
	ბალი თეთრი	4 „
	ბალი ჭრელი	5 „
	ატამი	7 „
	ტყემალი მსხვილი	3 „
26-ს	ხენდრო	6 „
	ბალი წითელი	7 „
	ბალი თეთრი	4 „
	ალუბალი	6 „
	ატამი	8 „
	ტყემალი	2 „
	კომბოსტო	1—60

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

თბილისიდან გადის:

თბილისიდან	8 ს.	13 წ.	დილ.
ნავთლუღ-ამიერ-კავ.	8 „	40 „	„
ნავთლუღ-კახეთ.	8 „	58 „	„
ვაზიანიდან	10 „	06 „	„
ივრიდან	21 „	15 „	„
საგარეჯოდან	11 „	58 „	„
ბადიაურიდან	12 „	56 „	„
მელაანიდან	2 ს.	16 წ.	საღ.
გურჯაანიდან	3 „	37 „	„
კარდენახიდან	4 „	12 „	„
წნორის-წყალზე	4 „	44 „	„

გურჯაანიდან-თელავამდე № 7.

გურჯაანიდან	3 ს.	42 წ.	საღ.
ვაჩნაძიანიდან	4 „	33 „	„
თელავში	5 „	27 „	„

თბილისისკენ მოდის:

წნორის-წყლიდან	8 ს.	58 წ.	დილ.
კარდენახიდან	9 „	41 „	„
გურჯაანიდან	10 „	24 „	„
მელაანიდან	11 „	39 „	„
ბადიაურიდან	12 „	59 „	დღ.
საგარეჯოდან	2 „	80 „	„
ივრიდან	2 „	50 „	„
ვაზიანიდან	3 „	55 „	„
ნავთლუღ-კახეთ.	4 „	58 „	„
ნავთლუღ-ამიერ-კავ.	5 „	13 „	„
თბილისში,	5 „	28 „	„

თელავიდან-გურჯაანამდე № 8.

თელავიდან	8 ს.	54 წ.	დილ.
ვაჩნაძიანიდან	9 „	25 „	„
გურჯაანში	10 „	07 „	„

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისში მოდის:

№ 3	ბაქოდან	12 ს.	54 წ.	დღ.
№ 4	ბათომიდან	5 ს.	55 წ.	საღ.
№ 5	ბაქოდან (სწრაფი)	7 ს.	41 წ.	საღ.
№ 10	ბათომიდან.	9 ს.	51 წ.	დილ.
	ჯულფიდან.	6 ს.	53 წ.	დილ.
	ბორჯომიდან	7 ს.	25 წ.	დილ

თბილისიდან გადის:

№ 3	ბათომისკენ	1 ს.	45 წ.	დღ.
№ 4	ბაქოსკენ	7 ს.	3 წ.	საღ.
№ 6	ბაქოს (სწრაფი)	12 ს.	8 წ.	დღ.
№ 9	ბათომისკენ	8 ს.	53 წ.	საღ.
	ჯულფისკენ	10 ს.	23 წ.	საღ.
	ბორჯომისკენ	3 ს.	29 წ.	დღ.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა.

25—3

მეხილეთა ამხანაგობა

„ქართლი“

„ქართლის“ კოოპერატიულ მაღაზიაში (ძველი სემინარიის შენობა) ყოველდღე ჩამოდის ახალი ხილი ამხანაგობის წევრებისაგან. მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ ყოველნაირი ხილი იაფად. წ.

თევზის მრეწველნი

ძმ. ძეძველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9, ტელეფონი № 712.

განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი **„მეშოჩნი“** ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

წიგნის მაღაზია

„ახალი სიტყვა“

(„НОВАЯ РѢЧЬ“.)

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნი; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ.

განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქგარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში. (წ.—3)

მიიღება ხელის მოწერა

1915 წ. ენკენისთვიდან გამოვა სალიტერატურო, სამეცნიერო და საპოლიტიკო თვიური ჟურნალი

„ახალი მოამბე“

ჟურნალში უმახლობელეს მონაწილეობას მიიღებს ივანე სპ. ელიაშვილი, თანამშრომლად მოწვეულია ყველა ჩვენი ცნობილი მწერალი.

დასაბეჭდად მოწონებულ ნაწარმოებთა ავტორებს მიეცემათ შესაფერი ჰონორარი.

ჟურნალი პარტიათა გარეშე იდგება და პროგრესიულ-დემოკრატიული მიმართულების იქნება.

პირველი ნომერი გამოვა ენკენისთვის 20—25-ს, ზომით 15—20 ფორმამდე.

რედაქციის ბინა: თბილისი, ყაზბეგის ქუჩის შესახვევი, № 4. ფოსტით: Тифлисъ, ред. груз. журн. „Ахали Моамбэ“.

ფასი: წლიურად—10 მან., ნახევარი წლით—6 მან., ხოლო ამა წლის ენკენისთვიდან ქრისტეშობისთვის გასულამდე—4 მან.

ფული უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ, ред. груз. журн. „Ахали Моамбэ“ Ивану Спиридоновичу Эліашвили.

რედაქტორ-გამომცემელი ნინო ბეჟ. ყიფიანისა.

ძსწრაფ-მბეჭდავი სტამბა სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ. № 5.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან